ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კულტურის კვლევების კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის N:198/01-01 და 13 ოქტომბრის N:200/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის N:95/2021 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "3" დეკემბერი 2021 წ.

14.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №202

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

ნინო ჩიქოვანი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ქეთევან ხუციშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

ქეთევან კაკიტელაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

თინათინ ლუდუშაური - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მაია ქვრივიშვილი

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა" კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ნინო ჩიქოვანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა" კატეგორია)** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ირაკლი ჩხაიძემ

**ირაკლი ჩხაიძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ირაკლი ჩხაიძის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა" კატეგორი) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ირაკლი ჩხაიძე.**

კომისიის თავმჯდომარე: ნ. [signature]

მოადგილე: [signature]

წევრები: ა. [signature] [signature]

კომისიის მდივანი: [signature]

თარიღი: 03.12.2021